ოქმი:**ო03. 3723244001**

თარიღი:**01/09/2023**

ოქმი № 15

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2023 წელი, 31 აგვისტო

ქ.ოზურგეთი

12.00 -12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ. შარაშენიძე, ბ. თოიძე, ნ. ღაჟონია, მ. ვაშალომიძე, ლ. ბიგვავა, ს. ქარცივაძე, ბ. მელუა, ტ. არუშიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ივლისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: გ. ჩაგანავა

მომხსენებელმა გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ივლისის თვის ბიუჯეტის შესრულების ძირითადი პარამეტრები, აღნიშნა, რომ ბიუჯეტმა 1-აგვისტოს მონაცემებით შეადგინა 70 მილიონ ლარზე მეტი, ისაუბრა ბიუჯეტის შემოსავლებზე, რომელმაც შეადგინა წლიური გეგმის 61%, ყურადღება გაამახვილა კონკრეტულად ივლისის თვის შემოსავლებზე სახეობების მიხედვით, მხოლოდ ჯარიმებიდან და სანქციებიდან ბიუჯეტში ივლისის თვეში შემოსულია 241 ათას ლარზე მეტი, ისაუბრა ამ თვეში შემოსულ ტრანსფერებზე, ამის შემდეგ კომისიის წევრებს გააცნო გაწეული ხარჯები პრიორიტეტების მიხედვით, აღნიშნა, რომ ივლისის თვეში გაწეულია ხარჯი 3 მილიონ ლარზე მეტია, ისაუბრა სარეზერვო ფონდიდან გაწეულ ხარჯებზეც. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრმა ტ. არუშიძემ დასვა შეკითხვა მიმდინარე წლის 10 ივლისს მომხდარი სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელი თანხების თაობაზე, განუმარტეს, რომ თანხები გადმორიცხულია; კომისიის წევრმა ს. ქარცივაძემ განაცხადა, რომ მისი მშობლების საცხოვრებელ სახლთან, ჯავახიშვილის ქუჩაზე, ჩადის პატარა ღელე, რომელზეც არსებული ხიდი წვიმების დროზე ვერ ატარებს

მდინარის წყალს და ტბორავს მიმდებარე საცხოვრებელ სახლებს, აუცილებელია ან მდინარის კალაპოტის დაღრმავება ან ახალი ხიდის აგება, სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ ამ საკითხს განიხილავენ მერის რწმუნებულთან ერთად. საბოლოოდ კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ანგარიშის ცნობად მიღებას.

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი მიღებულ იქნას ცნობად.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი